სააპელაციო საბჭო

28/10/2024

MES 2 24 0001396291

გადაწყვეტილება

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის თაობაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ

2024 წლის 04 ოქტომბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (დაწესებულების №457/01 (№1197872, 24/09/2024)) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 03 სექტემბრის №1071579 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.
2024 წლის 11 ოქტომბერს სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი არ პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 95-ე მუხლის პირველ პუნქტს, 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 97-ე მ უხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს უარი ეთქვას სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ 2024 წლის 24 სექტემბრის №457/01 კორესპონდენციით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვაზე.
2. სააპელაციო საბჭოს 2024 წლის 28 ოქტომბრის №1384778 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

ელექტრონული
ფაქსიმილე
ელექტრონულად